ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 4 მაისის სხდომის

ოქმი # 4

სხდომას ესწრებოდა: სიითი შემადგენლობის 31 წევრიდან - 21

დღის წესრიგი

1. პირადი განცხადების საფუძველზე ასოცირებული პროფესორის, თეონა მატარაძის საგამომცემლო საბჭოდან გასვლა და ახალი წევრით მისი ჩანაცვლება
2. პირადი განცხადების საფუძველზე ასოცირებული პროფესორის, თეონა მატარაძის სტუდენტთა დაფინანსების კომისიიდან გასვლა და ახალი წევრით მისი ჩანაცვლება
3. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ,,ციფრული მედია და ინოვაციები'' (თსუ-ს და ბსუ-ს ერთობლივი პროგრამა, №:70/2021, 29/07/2021, დანართი 304) აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში.
4. საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელად პროფესორ თორნიკე თურმანიძის ნაცვლად ასოცირებული პროფესორის, კონსტანტინე შუბითიძის დანიშვნა
5. სადოქტორო ნაშრომების სათაურების დამტკიცება
6. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: 1. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ პირადი განცხადების საფუძველზე, ასოცირებულმა პროფესორმა თეონა მატარაძემ ითხოვა საგამომცემლო საბჭოს დატოვება. შესაბამისად, საჭირო იყო მისი ახალი წევრით ჩანაცვლება. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საგამომცემლო საბჭოში წარმოდგენილი იყო ყველა მიმართულების პროფესორი, გარდა ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებისა. შესაბამისად, საგამომცემლო საბჭოს წევრის კანდიდატურად ს. დუნდუამ

წამოაყენა ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების პროფესორის, მანანა შამილიშვილის კანდიდატურა.

აზრი გამოთქვეს: ზ. აბაშიძემ, მ. წერეთელმა.

დაადგინეს: საგამომცემლო საბჭოს წევრად არჩეულ იქნას პროფესორი მანანა შამილიშვილი.

მოისმინეს: 2. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ პირადი განცხადების საფუძველზე, ასოცირებულმა პროფესორმა თეონა მატარაძემ ითხოვა სტუდენტთა დაფინანსების კომისიიდან გასვლა. შესაბამისად, საჭირო იყო მისი ახალი წევრით ჩანაცვლება. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს წარუდგინა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსის, სანდრო ტაბატაძის კანდიდატურა.

აზრი გამოთქვეს: ნ. ტალახაძემ, მ. მაცაბერიძემ.

დაადგინეს: სტუდენტთა დაფინანსების კომისიის წევრად არჩეულ იქნას სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სანდრო ტაბატაძე.

მოისმინეს: 3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა რევაზ ჯორბენაძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ,,ციფრული მედია და ინოვაციები'' (თსუ-ს და ბსუ-ს ერთობლივი პროგრამა, №: 70/2021, 29/07/2021, დანართი 304) აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში.

ცვლილება: პროგრამაში სასწავლო კურსების სტატუსის ცვლილება:

ცვლილების აღწერა:

- არჩევითი სასწავლო კურსი **„კიბერკულტურა და ჟურნალიზმი"** (5 კრედიტი) გადმოტანილი იქნა ძირითად სასწავლო კურსად სწავლების პირველ სემესტრში, ხოლო სასწავლო კურსი **„ციფრული მედიის სამართალი"** (5 კრედიტი) გადავიდა პირველი სემესტრის არჩევით კურსებში;
- არჩევითი სასწავლო კურსი **„მონაცემთა ანალიზი და ვიზუალიზაცია"** (5 კრედიტი) გადატანილი იქნა მესამე სემესტრის ძირითად სასწავლო დისციპლინებში, ხოლო სასწავლო კურსი **„ტრანსმედია პროექტები''** (5 კრედიტი) გადავიდა მესამე სემესტრის არჩევით სასწავლო კურსებში;

ცვლილება: სასწავლო კურსის მიზნისა და შინარსიის განახლება:

ცვლილების აღწერა:

- შევიდა ცვლილება სასწავლო არჩევით სასწავლო კურსში **„თანამედროვე მულტიმედია და WEB ტექნოლოგიები“**. კერძოდ მიზანში განისაზღვრა კიბერუსაფრთხოების სტრატეგიების, ძირითადი კონცეფციების, მონაცემთა ინოვაციური მეთოდებისა და საშუალებების სწავლება, რისთვისაც ცვლილება შევიდა მე-2, მე-4, მე-5 კვირის საკითხებში, ხოლო მე-11 კვირის თემატიკა ჩამოყალიბდა ექსპერტთა რეკომენდაციის შესაბამისად. ამ ცვლილებების შედეგად დაკონკრეტდა მიზნები და შედეგები, კერძოდ პირველ მიზანს დაემატა კიბერუსაფრთხოების სტრატეგიების, ძირითადი კონცეფციების, მონაცემთა დაცვის ინოვაციურ მეთოდებისა და საშუალებების გაცნობა, ამის საფუძველზე დაკონკრეტდა მე-6 შედეგი, რომ სტუდენტს შეუძლია ინფორმაციული სისტემების და ინტერნეტის სივრცის უსაფრთხო გამოყენება, არსებული რისკების აღმოჩენა და ლოკალიზება.

ცვლილება: სასწავლო კურსის კრედიტების ცვლილება:

ცვლილების აღწერა:

- **„მედიატრენდები და მედიასტარტაპები“** 4 კრედიტის ნაცვლად გახდა 5 კრედიტი;
- **,,მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები''** (მედიის კვლევების სამაგისტრო პროგრამიდან) 6 კრედიტის ნაცვლად გახდა 5 კრედიტი;
- **,,ციფრული მედიის სამართალი''** 6 კრედიტის ნაცვლად გახდა 5 კრედიტი;

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულება *(ანგარიშის წარდგენის ვადა 11/05/2023)*

აზრი გამოთქვეს: ხ. მაისაშვილმა, შამილიშვილმა, ზ, აბაშიძემ.

დაადგინეს: თსუ აკადემიურმა საბჭომ დასამტკიცდებლად განიხილოს აღნიშნული საკითხი.

მოისმინეს: 4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა რევაზ ჯორბენაძემ საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელის, ასოცირებულ პროფესორ ფიქრია ასანიშვილის განცხადება საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელად თორნიკე თურმანიძის ნაცვლად ასოცირებულ პროფესორ, კონსტანტინე შუბითიძის წარდგენის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ზ.დავითაშვილმა, მ.მაცაბერიძემ.

დაადგინეს: გადაეცეს აღნიშნული საკითხი თსუ აკადემიურ საბჭოს დასამტკიცდებლად.

მოისმინეს: 5. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურმა მოამზადა და საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოადგინა დოქტორანტთა სადისერტაციო თემები და ხელმძღვანელები.

აზრი გამოთქვეს: ხ. მაისაშვილმა, ი. კაჭკაჭიშვილმა, გ. გოგსაძემ, რ. ჯორბენაძემ, ზ. აბაშიძემ, მ. მაცაბერიძემ.

დაადგინეს: დამტკიცდეს დოქტორანტთა სადისერტაციო თემები და ხელმძღვანელები (იხ. დანართი)

მოისმინეს: 6. მიმდინარე საკითხები.

ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია ინტერდისციპლინური მიმართულებაზე მიმართულების ხელმძღვანელის არჩევნების ჩატარებისა და ხელმძღვანელად რევაზ ჯორბენაძის არჩევის შესახებ.

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების მიმართულების ხელმძღვანელმა, პროფესორმა მანანა შამილიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია ფაკულტეტზე სტრასბურგის ჟურნალისტიკის სკოლის წარმომადგენელების ერთთვიანი ვიზიტის შესახებ.

პროფესორმა იაგო კაჭკაჭიშვილმა საბჭოს წევრების წინაშე ისაუბრა ფაკულტეტზე ამჟამად არსებულ პროფესორთა საშტატო განაწილების თაობაზე და მომავალში მისი გარკვეული სახით შეცვლის აუცილებლობაზე.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე — ხალომე დუნდუა

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი — ნათია ფარცხალაძე

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

04/05/2023

ფაკულტეტის დეკანი

სალომე დუნდუა

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

მალხაზ მაცაბერიძე

ალექსანდრე კუხიანიძე

ზვიად აბაშიძე

თამარ ქარაია

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

თამარ დოლბაია

გიორგი გოგსაძე

ვალერიან მელიქიძე

ვაჟა ლორთქიფანიძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

ზურაბ დავითაშვილი

ფიქრია ასანიშვილი

კონსტანტინე შუბითიძე

დავით მაცაბერიძე

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება

იაგო კაჭკაჭიშვილი

ამირან ბერძენიშვილი

ნინო დურგლიშვილი

ნათელა ფარცხალაძე

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება

მარი წერეთელი

მანანა შამილიშვილი

ნანული ტალახაძე

ხათუნა მაისაშვილი

ნინო ჭალაგანიძე

ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულება

რევაზ ჯორბენაძე

ნოდარ ბელქანია

ზურაბ აბაშიძე

თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

შოთა ქარქაშაძე

ნინო პაქსაშვილი

ცირა თოფურია

კახი კუჭუხიძე

ალექსანდრე გაბაშვილი

სადისერტაციო თემის სათაურები და ხელმძღვანელები

სოციოლოგია

1. ბექა ნაცვლიშვილი, II სემესტრი, „ნეოლიბერალური რეფორმებისა და ჯანდაცვის მომსახურების კომერციალიზაციის გავლენა ექიმების პროფესიულ ეთოსზე საქართველოში“; ხელმძღვანელი: პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი

პოლიტიკის მეცნიერება

2. გრეტა ივანიშვილი, II სემესტრი; პარტიული სისტემების ტრანსფორმაცია თანამედროვე საქართველოში (ახალი პოლიტიკური პარტიების ფორმირება 2020-2024); ხელმძღვანელი: პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე

კონფლიქტების ანალიზი და მართვა

3. ლალი დევიძე, II სემესტრი, “დისკუსიები ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებში - 1997-1998 წლებში”; ხელმძღვანელი: პროფესორი გუგული მაღრაძე

სოციალური მუშაობა

4. მაგული შაღაშვილი, II სემესტრი, "სოციალური მუშაობისა და სოციალური პოლიტიკის როლი საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების უზრუნველსაყოფად;" ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი თამარ მახარაძე

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეს, დეკანს

სალომე დუნდუას,

ამავე ფაკულტეტის ასოირებულ პროფესორ

თეონა მატარაძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, გამათავისუფლოთ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს, აგრეთვე სტუდენტთა დაფინანსების კომისიის წევრობიდან.

პატივისცემით,

თეონა მატარაძე

თბილისი

06.04.2023

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,

სალომე დუნდუას

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს,

რევაზ ჯორბენაძეს

ქალბატონო სალომე,

ბატონო რევაზ,

გაცნობებთ, რომ საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების აკადემიური პერსონალის გადაწყვეტილებით, პროფესორების დატვირთვისა და პროგრამის შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნიდან გამომდინარე, საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამას ეცვლება ხელმძღვანელი. კერძოდ, პროფესორ თორნიკე თურმანიძის ნაცვლად პროგრამას უხელმძღვანელებს ასოცირებული პროფესორი კონსტანტინე ბუბითიძე.

გთხოვთ, აღნიშნული საკითხის დაშტკიცებას მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

პატივისცემით,

ასოცირებული პროფესორი ფიქრია ასანიძვილი

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი